31 ივლისი 1918 წლისა. ფასი ნომრისა 80 კაპ.

წელიწადი პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სიტყვა

№ 10. ორკვირეული ჟურნალი. № 10.

შემდეგი № გამოვა 15 აგვისტოს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირეულ ჟურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ჟურნალის მიზანია ჩვენის ეკლესიის ცხოვრების განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი.

რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს, შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ჟურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე მღ. ისააკ ჩეკურაშვილთან: ტფილისი, ანჩ-ს ხატის ქუჩა, სახ. № 1.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ციცქიშვილთან: ტფილისი, კაბგეროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51.

რესპუბლიკა და ჩვენი ეკლესია.

5.

(დასასრული *)

მწყობრ წეს-რიგს და მეთემატიკურად გამორკვეულ ქონებრივ პირობათა მხრივ განსაკუთრებით სახარბიელოა გერმანიის სამღვდელოების მდგომარეობა. იქ მღვდელმა არამტ თუ წლის დასაწყისს იცის, რა შემოსავლის იმედი უნდა ჰქონდეს წლის განმავლობაში,—სანამ ეკურთხება, უკვე გათვალისწინებული აქვს, როდის რამოდენი მიეცემა. როცა ჩვენის მღვდლის ცხოვრების წყარო სრულიად შემთხვევებზე და მრევლის ბედნიერება—უბედურებაზეა აგებული, გერმანიის სამღვდელოების ეკონომიურ ცხოვრებაში ასეთ შემთხვევებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გარდა ბინისა, რომელსაც უსათუოდ უნდა ჰქონდეს ცალკე ეზო, ბაღჩა, საკუთარი აბანო, ბოსელი და და სხვანი, და გარდა ნება-ყოფლობითი შემოსავლისა, რომლის რაოდენობას საზღვრავს თვით სამრევლო იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მეკომურია სამრევლოში და რა შეძლებისა არიან ისინი, სამღვდელოებას ძირითად ჯამაგირის, დამატებით ჯამაგირის და პენსიის სახით და სასულიერო უწყების სამზრუნველოდან ეძლევა წლიურად გადაწყვეტილი თანხა, რომელიც ყოველ სამ წლობით იზრდება. ამ კ სების სათავეში სდგას უმაღლეს სამოქალაქო მთავრობის მიერ დანიშნული გამგეობა ექვს ერის კაცთაგან და საბჭო, რომლის წევრებს, რიცხვით 55, ირჩევს სასუ-

*) იხ. „ახ. სიტყვა“ № 5, 6, 7 და 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერო სინოდი. მღვდელს კურთხევის პირველსავე წელიწადს ეძლევა ამ კასებიდან წმინდა ჯამაგირი 2,400 მარკიდან 5,400 მარკამდე*), ჩვენებურად 1,184—2,464 მან. ეს განსხვავება დამოკიდებულია ადგილობრივ შემოსავლის რაოდენობისგან, ესე იგი ნაკლებ—შემოსავლიანს მეტი ჯამაგირი ეძლევა და პირიქით, დიდ შემოსავლიანს ნაკლები ჯამაგირი. ამ ჯამაგირს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ემატება 100—500 მარკა. ასე რომ მღვდელს, რომელსაც 24 წელიწადი უმსახურია, ოცდა მეხუთე წ ლიწადს წმინდა ჯამაგირი აქვს 6,000 მარკა (2,820 მან.).

მცირეოდენ შეცვლა—განსხვავებით დაცულია ეს წესი ყველა იმ სახელმწიფოებში, სადაც ლიუტერის მოძღვრებაა გაბატონებული ან სადაც გერმანლების მონათესავე ერები ცხოვრობენ.

ეკლესიის სახელმწიფოსგან განცალკევების გადამავალ სახეს წარმოადგენს პატარა, მაგრამ მრავალფეროვანი შვეიცარია, სადაც 1874 წლის კონსტიტუციის ძალით სამღვდელოება ზოგიერთ ოლქებში (კანტონებში) ხაზინიდან იღებს მზა-მზარეულ ჯამაგირს, ზოგიერთგან კი ადგილობრივ წყაროებიდან. საერთოდ იქ, მღვდელმოქმედებათა სასყიდლის გარდა, მღვდელი იღებს წლიურად ჯამაგირის სახით 720—1080 მანეთსა.

იტალიაში და ესპანიაში 1835—1876 წლების კანონებით თითქოს დაიწყო ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა და პირველს მეორის სასარგებლოდ დიდძალი მამულები ჩამოართვეს, მაგრამ ამ აქტს მედგრად წინ ალუდგა მორწმუნე ერის ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც მთავრობამ იძულებით დაუთმო. დღეს ორივეგან, მაღალ ნახრით ნავარაუდევ შემოსავლის გარდა, ჯამაგირიც კი ეძლევა სამღვდელოებას—იტალიაში „კულტის ფონდიდან“ და ესპანიაში ხაზინიდან.

ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება მთელ დედამიწის ზურგზედ მხოლოდ ორგან არის ჯერხნობით განხორციელებული: ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში. მაგრამ სულ სხვადასხვა ნაირია ეკლესიის თავისუფლება მართლაც განათლებულ და გონიერად თავისუფალ ამერიკაში და მარად მღელვარე, მერყევ და ექსპანსიურ საფრანგეთში, სადაც ნამდვილ ევროპიულ თავისუფალ მოაზრეობასთან ერთად ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ ისეთი უხეში, პირველყოფილი ცრუმორწმუნოება, რომელიც რუსეთის მიყრუებულ სოფელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე ვოლტერის და დიდ რევოლიუციის სამშობლოს. როცა კითხულობთ ცნობილ ემილ ზოლას მოთხრობებს „პარიზი“, „ლუვრი“ და „სიმართლეს“ და ეცნობით იმ საძაგლობას, რაც მოწინავე საფრანგეთში ხდება სარწმუნოების სახელით და „ღვთის დიდებისათვის“, თქვენს თვალწინ უზომოდ იზრდება კულტურული ზომიერება საქართველოისა, სადაც ქრისტიანობას თექვსმეტ საუკუნის განმავლობაში ერთხელაც არ შეურყევია არც მორწმუნეთა და არც ურწმუნოთა სამოქალაქო ცხოვრება...

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკლესია, როგორც ყველა სხვა კერძო დაწესებულებანი, სრულიად თავისუფალია, მაგრამ მისი სამღვდელოება იმდენად უზრუნველყოფილია ქონებრივად, რომ ეს ჩვენში ზღაპარი ეგონებათ. თვიური ბიუჯეტი ეპისკოპოსისა უდრის 12,000 დოლლარს*), მღვდელისა 600 დოლლარს. ეს აიხსნება ორ გარემოებით: ამერიკელი ძლიერ მდიდარია და საერთოდ ძლიერ მორწმუნეც. იქ არ იციან ჩვენებური ცრუ სირცხვილი, აქაო და ქუჩაში პირჯვარი გადავიწერო, ან საყდარში ხშირად შევიდე, ან საეკლესიო საქმეებში მონაწილეობა მივიღო, გაუნათლებლობაში ჩამომართმევენო. მიუხედავად მრავალსართულიან თავისრფლებათა, მცხოვრებლების ერთი პროცენტი თუ სდგას სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა გარეშე. ამიტომაც არის, რომ ამერიკაში სახელმწიფო და ეკლესია თუმცა ერთ-

*) გერმანული მარკა ჩვენებურ 47 კაპ. უდრის.

*) ამერიკული დოლლარი—1 მან. და 94 1/4 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთისგან ოფიციალურად გათიშულნი არიან, მაგრამ სახელმწიფო მაინც დიდ დახმარებას უწევს ეკლესიას, როგორც სასარგებლო დაწესებულებას, როგორ, მაგალითად, ჩვენში ქალაქის თვით-მმართველობა სამადლო სახლს, კერძო სასწავლებელს, სიმპატიურ საზოგადოებას და სხვათა. ზოგიერთი შტატები თვისი ავტონომიის უფლებით ათავისუფლებს საეკლესიო დაწესებულებათა კორპორაციებს სახაზინო და სათემო გადასახადებისგან. ზოგიერთ შტატებს ჯარისთვის და ფლოტისთვის დაქირავებული ყავთ მღვდლები და ჯამაგირს, რასაკვირველია, ხაზინიდან აძლევენ. საერთოდ კი ამერიკის შტატები სასულიერო წოდებას ხალხში ნებაყოფლობითი შემოწირულებათა მოგროვების ნებას აძლევენ—და ეს ზომა დიდძალ სიმდიდრეს აძლევს ეკლესიას. მაგალითად 1913 წელს ასეთი შემოწირულება იყო მარტო ეპისკოპალური აღსარების სამღვდელოების სასარგებლოდ 15,626,782 დოლლარი, ანუ ჩვენებურად ოცდა თერთმეტ მილიონ მანეთამდე.

სულ სხვანაირი სურათი ეკლესიის და სინოდისის თავისუფლებისა გვეშლება თვალწინ საფრანგეთში, სადაც სოციალისტები გაბოროტებულნი არიან ძველად სულთამხუთავ და დღესაც საკმაოდ ძლიერ კლერიკალიზმის და კონგრეგაციების წინააღმდეგ. აქ მთავრობამ 1904 წელს ეკლესია ჩამოაშორა სახელმწიფოს. 1905 წელს კი, როცა ზოგიერთ დეპარტამენტებმა (ოლქებმა) ამერიკის შტატებისაგვარად განიზრახა ადგილობრივ წყაროებიდან მიეცა სამღვდელოებისთვის ჯამაგირისებური დახმარება, მთავრობამ მოახერხა, რომ ეს აეკრძალა პარლამენტს. 1907 წელს ჩამოერთვა ყოველნაირი უძრავი ქონება, საკრებულო სახლებიც კი, და ის თანხებიც, რაც სადმე საკრებულო დაწესებულებებში ინახებოდა ეკლესია-მონასტრების სახელობაზე.

მაგრამ ეს აქტი ძალადობა და უსამართლობა იყო და ეს ჭირი კათოლიკეთა ეკლესიისათვის მარგებელი აღმოჩნდა. მან სრულიად მოულოდნელად შეაკავშირა სხვადასხვა ჭურის მორწმუნენი სოციალისტურ მთავრობის წინააღმდეგ. მოდუნებული ეკლესია უცებ გამოცოცხლდა, დარაზმა ძველი და ახალი მეგობრები და სოციალისტებს პოლიტიკურ—პარლამენტარული ბრძოლა გამოუცხადა, რასაც ეკლესიის სასარგებლოდ ძლიერ ხელი შეუწყო დღევანდელ მსოფლიო ომმაც. რითი გათავდება ეს გამწვავებული ურთიერთობა სამოქალაქო მთავრობის და ეკლესიისა, ძნელი სათქმელია. მაგრამ ეს რომ უბრალო უსიამოვნება არ არის და ადვილად არ მორჩება, სჩანს თუნდა იმ მრავალმნიშვნელოვან სიტყვებიდან, რომელიც ეორესის მოკვლისა გამო ითქვა საფრანგეთის პარლამენტში: „ერჩივნა საფრანგეთს ეკლესიის ვასსალი (მორჩილი) ყოფილიყო და ხელი არ ეხლო იმ შავ მუზარადიან პოლიტიკოსებისთვის*,) რომელნიც ჩვენს მანდილოსნებს თეთრი ანგელოზები ჰგონიათო“...

ასეთია საეკლესიო საკითხის მდგომარეობა იმ ქვეყნებში, რომელთა ერთ-ერთ მაგალითს მაინც აიღებს დამოუკიდებელ საქართველოის მთავრობა, თუ საბჭო. ამ დამოუკიდებლობის გამოცხადების დიდი ხნით ადრე ჩვენ გულწრფელი მომხმარე ვიყავით სახელმწიფოს და ეკლესიის განცალკევებისა და პრესაშიც ვაცხადებდით ამ სურვილს**), მაგრამ სრულიად უხერხულად და ნორჩ სახელმწიფოსთვის დიდად საზარალოდ მიგვაჩნია ეს განცალკევება **დღეს, არსებულ პირობებში, ამ სულიერ განწყობილებაში**. ამ აქტით თუ ვინმე წააგებს რასმე, წააგებს უპირველეს ყოვლისა ჩვენი ახალშობილი სახელმწიფო, რომელსაც ეკლესიის ჩამოშორება თუ საფრანგეთისებრ ახალ მტრებს არ შესძენს, ყოველ შემთხვევაში ბევრ ერთგულ მეგობარს და ერთობ საგრძნობ დამხმარე ძალას ჩამოაშორებს.

ამიტომ, ჩემის აზრით, ქართველ ერის ინტერესი მოითხოვს, რომ ჯერხნობით მაინც

———————

*) ნაგულისხმევია წმ. ფრანცისკის ორდენის კათოლიკე ბერები.

**) იხ. გაზ. „სახ. საქმე“ 1917 წლ. №№ 38 და 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყებას მიეცეს ის პროექტი სახელმწიფოს და ეკლესიის განშორებისა, რომელსაც, გაზეთების სიტყვით, მთავრობა ამზადებს.

დეკ. ილ შუბლაძე.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონისაგან გამოგზავნილი შეგონება ქართველ მღვდელმთავართა მიმართ.

თავის სიკვდილის რამოდენიმე დღის წინ კათოლიკოსმა კირიონმა მიიღო მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონისაგან შეგონება (увѣщаніе), რომელშიაც იმპერიალისტულ რუსეთის სახელმწიფოს და ეკლესიის წარმომადგენელი—პატრიარქი ტიხონი ამტკიცებს, რომ თქვენ ქართველებმა უკანონობა ჩაიდინეთ, რადგან თქვენი ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთის ეკლესიის მმართველობის და კრების დაუკითხავად და ნებადაურთველად აღადგინეთო. მართალია, საერო მთავრობამ რუსეთისამ იცნო თქვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს მსოფლიო კრებების კანონების მიხედვით შეუწყნარებელიაო, რადგანაც ამა თუ იმ ეკლესიას დამოუკიდებლობის მიღება შეუძლია იმ ეკლესიისაგან, რომლის ნაწილსაც ის შეადგენსო, და საქართველოს ეკლესია ხომ ასზე მეტს წლის განმავლობაში შეადგენდა რუსეთის ეკლესიის განუყოფელ ნაწილსაო. თქვენმა ქვეყანამ თუნდაც სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვოს, ეკლესიის საკითხი მაინც ამით არ შეიძლება გადაწყდესო. მაგალითებიც მოჰყავს პატრიარქ ტიხონს. საბერძნეთის და სერბიის ეკლესიებმა, თუმცა იგინი დამოუკიდებელ სახელმწიფოში არსებობენ, დამოუკიდებლობა თვისი თავისით კი არ დაიდგინეს, არამედ მიიღეს კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან. ბულგარეთის ეკლესიამ კი პატრიარქის უნებურად გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა და ამისათვის იგი შერაცხულ იქმნა სხიზმადაო (განდგომილად მართლმადიდებლობითგანაო). ამისათვისაო, განაგრძობს პატრიარქ ტიხონის შეგონება, თქვენ ამიერ კავკასიის მღვდელმთავრებს: კირიონს, ლეონიდს, პიროსს, ანტონს, დავითს და ამბროსის წინადადება გეძლევათ შეინანოთ თქვენი თვითნებური ქცევა და მიმართოთ ამიერ კავკასიის ეკლესიის საქმეების მოსაწესრიგებლად სრულიად რუსეთის ეკლესიის მმართველობას და კრებას და დაემორჩილოთ ნა ს გადაწყვეტილებასა, თუ გინდათ, რომ თქვენცა და თქვენ ეკლესიასაც აგცდესთ საშინელი სასჯელი, მსოფლიო ეკლესიის კანონების მიერ განჩინებული, ეგრეთ თვითნებობით განდგომილებისათვისაო. დასასრულ პატრიარქი ტიხონი მიუთითებს იმ გარემოებას, რომ რუსეთის სინოდის გამგეობის ქვეშ თქვენი ეკლესია აყვავდა და ამაღლდაო. ამას ბევრნი ამოწმებენ, და სხვაზე არს ნაკლებად თქვენც, კირიონ კათოლიკოსიო.

ასეთია მოკლედ შინაარსი მოსკოვის პატრიარქიდან მიღებულის შეგონებისა. რა გვეთქმის ამ დოკუმენტზე?—მისი შინაარსი ყოვლად უსაბუთოა. საქართველოს ეკლესიას არაოდეს არ დაუკარგავს კანონიერად თვისი დამოუკიდებლობა, არც საქართველოს ეკლესიის კრებას, არც მსოფლიოსას არ უცვნია ჩვენის ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა. მართალია გენერალ ტორმასოვის წარდგენილებით თვით არა კანონიერმა დაწესებულებამ—სინოდმა—გაუქმებულად სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, მაგრამ ამას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. საყურადღებოა, პატრ. ტიხონის ეპისტოლეში არსად არ არის მოხსენებული „საქართველო", „საქართველოს ეკლესია"; ამის ნაცვლად ნახმარია სიტყვები „ამიერ კავკასიის ეკლესია", რაიცა დღემდის ხმარებაში არც სინოდს ჰქონებია.

ჩვენის აზრით რუსეთის ეკლესიის პატრიარქს უნდა გაეგზავნოს ღირსეული პასუხი, რომლითაც დარღვეულ უნდა იქნეს მიღებულ შეგონების შინაარსი და ეცნობოს, რომ რუსთა ეკლესიამ ახლა მაინც აიღოს ხელი უსაბუთო, უკანონო და უიმედო სურვილზე საქართველოს ეკლესიის კვლავ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისდა დამორჩილებისათვის; ეცნობოს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ ეკკლესიას ჰსურს ძმური კავშირი და ურთიერთობა იქონიოს რუსეთის ეკკლესიასთან, რომელმაც ამისათვის ხელი უნდა აიღოს, მსოფლიო კრებათა კანონების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე იყოლიოს თვისი ეპისკოპოსი; რომ საქართველოს ეკკლესია დღეს უკვე ტერიტორიულ—ავტოკეფალიურია და ნებას არ მისცემს სხვა მართლმადიდებელ ეკკლესიას იყოლიოს აქ თავისი ეპისკოპოსი, სწორედ ისევე, როგორც თვით რუსთა ეკკლესია არ აძლევს ნებას სხვა მართლმადიდებელ ეკკლესიას იყოლიოს რუსეთში თვისი ეპისკოპოსი.

ზეგნელი.

სამღვდელოების ჯამაგირის შესახებ.

სარწმუნოება შეადგენს ხალხის საუნჯეს. მის შენახვისათვის და განმტკიცებისათვის ყოველთვის და ნამეტურ ეხლა ჩვენში საჭირონი არიან კარგად მომზადებულნი მოძღვარნი. მაგრამ რამოდენათაც მაღლა სდგას ადამიანი განათლებით, რამოდენათაც მას მეტი ტვირთი აქვს საზიდავი, რამოდენათაც მეტი მშრომელია, ამოდენად მეტად უზრუნველ—ყოფილ უნდა იქნეს იგი ნივთიერად.

საიდგან ვიშოვით ეს სასყიდელთ? მღვდელს განათლებულს ვერ მისცემთ ნაკლებს, ვინემ უბრალო მუშა კაცს; უკანასკნელი კი ეხლა 10 მან. ნაკლებ არ იღებს არამც თუ დღეში, თითო პატარა საქმეშიაც. აგრეთვე მედავითნესაკ ვერ მისცემთ არა ნაკლებ 7 მანეთისა რაც შეადგენს თვეში 510 მანეთს. ეს თანხა უნდა გამოიღოს ხაზინამ ან და მრევლმა, ორში ერთმა. ხაზინა არ იძლევა და არც იმედია ასეთი გადასახადი მოახვიოს მას თავზე ახლანდელმა მთავრობამ. მაშასადამე ხალხმა უნდა მიიღოს თავისთავზედ ეს ხარჯი. ზოგნი ფიქრობენ ახლანდელი მრევლები, სადაც კი ეს მოსახერხებელი იქნება, შეგვაერთოთ და ორი-სამი კრებულის მაგიერ ერთი ვყოლიოთ. ეს რომ მოხერხდებოდეს, ამის წინააღმდეგ რა ეთქმის კაცსა, მაგრამ მცირე გამონაკლისის გარდა, ყოვლად შეუძლებელია, რადგან ჩვენი სამრევლონი უმეტეს ნაწილად მთაგორიან ადგილებში მდებარეობენ, ერთმანეთზე ძლიერ დაშორებულნი არიან და უგზოობისა გამო მღვდელს არ შეეძლება თავის დროზე აუსრულოს მრევლს ღვთის მსახურება, რაც გამოიწვევს მწყემსს და სამწყოსს შორის უთანხმოებას და უკმაყოფილებას. უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მრევლს დავავალებთ გამოიღოს ყოველწლივ განსაზღვრული გადასახადი კრებულის შესანახად. მაგრამ როგორ დავავალებთ მას ამას ეხლა, როდესაც ძალდატანებითი გადასახადი უკმაყოფილებას ბადავს? რა ზომები გვაქვს ჩვენ სასულიერო პირთ, ძალა დავატანოთ ვისმეს? ერთად ერთი საშუალება მღვდლის გაუმწესებლობა არის.

ხალხმა უნდა შეინახოს სამღვდელოება. ხაზინამ რომ მისცეს სამღვდელოებას ჯამაგირი, ისევ ხალხს არ გადაახდევინებენ იმ ჯამს, რაც დასჭირდებათ ამისათვის? უპირატესობა მრევლისაგან პირდაპირ მიცემულს ჯამაგირს უნდა მისცეს კაცმა, ვინემ ხაზინიდგან მიღებულს, ვინაიდგან სამღვდელოება ხალხს, როგორც თავის მსაზრდოელს უფრო დაუახლოვდება და მის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დროზე და დაუზარებლად ეცდება. მაგრამ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე? ეხლა არის შემოღებული არჩევნებითი წესი. მღვდელის, მედავითნის ადგილი როცა იცლება, მთხოვნელნი მიმართავენ ხოლმე სამრევლო საბჭოებს, ისინი ახდენენ სამრევლო კრებებს და ამ კრებებზე აირჩევენ იმას, ვინც ნაკლებ ჯილდოს დაჯერდება.

ყურადღებას კანდიდატის ღირსებას კი არ აქცევენ, არამედ სასყიდლის რაოდენობას ვინც უფრო ცოტას მოითხოვს, იმას აძლევენ უპირატესობას. რასაკვირველია, თუ ასე გაგრძელდა დიდხანს, ჩვენ მომავალში გვეყოლებიან ყოვლად უღირსნი პირნი. ვიცით, თბილისის სამიტროპოლიტო საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუწყვეტია თანდათან გაატაროს ცხოვრებაში განსაზღვრული გადასახადი მრევლის მხრივ კრებულის შესანახავად: მღვდლისათვის არა ნაკლებ 200 მანეთი. მედავითნესათვის არა ნაკლებ 130 მანეთისა თვეში. თუ ეს ფოგორმე განხორციელდა, დიდად სასიამოვნო იქნება. ეს ჯამაგირი არც ისე დიდია. თუ კი ეხლა უბრალო მუშას 10 მანეთ ნაკლებ ვერ ამუშავებ, რა დააშავა მღვდელმა? ნუ თუ 300 მანეთის მაგიერ მას არ ეკუთვნის 200 მან. თვეში; აგრეთვე 130 მან. მედავითნეს. მხოლოდ ასეთი სასყიდელი კრებულისათვის შემოღებული უნდა იქნეს ერთბაშად მთელ საქართველოში და არა მარტო თბილისის სამიტროპოლიტოში. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მოიძებნებიან ისეთნი სასულიერონი პირნი, რომლებიც პირიქით წინ ეღობებიან აღნიშნულ პროექტის განხორციელებას. ჩვენ გავიგეთ, რომ ერთ სამრევლოში დაცლილა მღვდლის ადგილი. აურჩევიათ ვინმე მღვდელი და დასამტკიცებლად განაჩენი სამიტროპოლიტო საბჭოსათვის გამოუგზავნიათ. სამიტროპოლიტო საბჭოს დაუმტკიცებია არჩევნები, მხოლოდ მიუწერია სამრევლო საბჭოსათვის შეეკრიბნა მრევლი და გამოეცხადებია: მღვდელს თქვენგან არჩეულს ვამტკიცებთ, მხოლოდ სამსახურისათვის მაშინ გამოცხადდება, როცა მრევლი მღვდლისათვის ჯამაგირად თვეში გადადებს 200 მან. მედავითნესთვის 130 მან. და გარდა ამისა, ორივეგსთვის შესაფერი ბინები იქნება მოამზადებული მრევლი შეიძლება არ შედგებოდა და წინადადების წინააღმდეგობას არ გამოიჩენდა, რომ მისი მომავალი მოძღვარი მისულიყო და არ შეთანხმებულიყო სამიტროპოლიტო საბჭოს დაუკითხავად და მის წინაალმდეგ დაჯერებოდა გაცლებით ნაკლებს. რის შემდეგ სამრევლო საბჭომ მოახსენა სამიტროპოლიტო საბჭოს: ჩვენ ვიცით ღა ჩვენმა მღვდელმა, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით და გთხოვთ, მოძღვარს ჩვენგან არჩეულს ნება მისცეთ თავის დროზე გამოცხადდეს მრევლში და ჩვენი რელიგიური მოთხოვნილებანი დაგვიკმაყოფილოსო. სამიტროპოლიტო საბჭო მაინც მაგრად სდგას თავის გადწყვეტილებაზე, როგორც გადმოგვცეს, მაგრამ კარგი არ არის, რომ თვითონ სამღვდელოება ხელს უცარავს სასულიერო მთავრობას, ეღობება ამისთანა კეთილ საქმეში.

ბაჯითელი.

მორწმუნე ქართველ ერს*)

წარსული წლის სექტემბრის ჩვიდმეტს, სრულიად საქართველოის საეკლესიო კრებამ, მშობელ ეკლესიის დასაკავიანებლად, როგორც უკვე ვიცით, უყარა კენჭი კათოლიკოს-პატრიარქის ორ კანდიდატს: ა. განსვენებულს უ. კირიონს და ბ. ტფილელ მიტროპოლიტს ლეონიდს. კენჭების შემოწმებამ გამოარკვია, რომ კრებამ კათოლიკოს-პატრიარქის ორივე საპატიო კანდიდატს სრული ნდობა გამოუცხადა თეთრთ კენჭების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის განსხვავებით და ამნაირად ორივე კანდიდატი გათეთრდა... დღეს, როდესაც მშობელ ეკლესიას და მორწმუნე ქართველ ერს მოულოდნელად თავს დაგვატყდა მდგომარე მწუხარება, ზოგადი თვალსაზრისით საჭიროა ყოველივე ამას ანგარიში გავუწიოთ გონივრულად... კანონიერი და სანართლიანი იქნება, თუ ჩვენი მორწმუნე ერის და სამღვდელოების წარმომადგენლები იმ ნდობის დასადასტურებლად რომელიც წარსული წლის სექტემბრის ჩვიდმეტს კრებამ გამოუცხადა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს და კანდიდატს ტფილელ მიტროპოლიტს ლეონიდს, ახლავე აღიყვანდეს მას სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო კათედრაზე.

მესხელი.

---

*) ამ მიმართვის დაბეჭდისათანავე რედაქცია მოაგონებს მკითხველებს, რომ მან აღძრული საკითხისაგამო უკვე გამოსთქვა თავისი აზრი „ახ. სიტყვის“ მეცხრე ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკა თუ ტაქტიკა?

ბევრი ულირსი მღვდელ-მსახურია გამწესებული ჩვენში, არ შესაფერ ადგილზედ, ძველ სასულიერო მთავრობისაგან. ამაზედ ლაპარაკიც კი მეტია... წარსული წლის 12 მარტიდან კი სრულიად დაიმედებული ვიყავით, რომ საქმე თანდათანობით გამოსწორდებოდა და ულირს, არაკეთილ-საიმედო პირთა გამწესებას ჩვენში ადგილი აღარ ექნებოდა; მაგრამ ჩვენი იმედი იმედად დარჩა და საქმით სულ სხვას ვხედავთ. კერძოდ ურბნისის ეპარქიაში არსებობს ასეთი სისტემა: დაიცლება თუ არა რომელიმე სამრეკლოში მღვდელ-მსახურთა ადგილი, იგზავნება იქ, დროებით, ღვთის-მსახურებისათვის მთხოვნელთა რიცხვიდან რომელიმე, წინასწარ გამოუკვლეველად და გაუფრთხილებლად, თუ როგორია ეს პირი ცოდნა-ზნეობის მხრივ. მიდის ასეთი პირი დანიშნულ სამრეკლოში, სადაც რჩება სამოთხი თვე; ამ ხნის განმავლობაში, უეჭ ელია, იგი კარგად ეცნობა მრევლს, იქვევა ყოველისფერში ზომიერად და თავ-დაჭერილად; ხალხს პირობით ეკვრის, გარდასახადის მხრივ, სხვა და სხვა შეღავათიანი პირობებით და ამნაირად იმზადებს ნიადაგს, რომ მრევლმა ის აირჩიოს და, ასეც ხდება: არჩევნების დროს, ხალხი ერთხმად ირჩევს ასეთ პირს, რაც გინდ ულირსი იყოს და ღირსეულ საპატიო პირთა კანდიდატურას ხსნიან; არჩევნების ხელმხღვანელის რჩევა-წინადადება და მეცადინობა ულონო ხდება ასეთ პირობებში. რავდენიმე ამისთანა მაგალითს უკვე ჰქონდა ადგილი და თუ მომავალშიც ასეთი სისტემა პრაქტიკაში დარჩა, ხსენებული ეპარქია, მოკლე ხნის განმავლობაში, გაივსება ქურუმ-მოხელე მსახურებით; ხოლო მოწოდებით და ცოდნა-განათლებით აღჭურვილნი მწყემსნი მუდამ გარიყულნი დარჩებიან. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, ამას ანგარიშს უნდა უწევდეს ჩვენი შეგნებული საზოგადოება. საჭიროა, ურბნისის საეპარქიო საბჭომ ამ მოვლენას შესაფერი ყურადღება მიაქციოს და დროზედ გაიაუქმოს ასეთი უვარგისი სისტემა. ვისაც აქვს ყურნი სმენად ისმინენ!

მესხელი.

რედაქციისაგან პატივცემულ თანამშრომელ მესხელს: რედაქცია არ ეთან.: სავსებით ღვინოც, წყალიც, ჭამაც და სხვაც მარგებელია ზომაზე მიღებული და თავისს დროზე და დაკვირვებით. დემოკრატიზმის პრინციპმაც არ უნდა აგვიბას თვალები. მოუმზადებელ ხალხს საჭიროა დავუსახელოთ სასარგებლო კანდიდატები. ხვენ ვხედავთ, როგორ ირჩევენ და მეორე დღეს პალურის ცემით აგდებენ სოფლებში კომისარებს, ჩავუკვირდეთ კარგათ ამ ფაქტს. ამისათვის კარგი წესი შემოღებით ურბნისის ეპარქიაში, თუ ეპარქიის მთავრობა თავისუფალ სამღვდელო ადგილზე გზავნის დროებით ერთ ერთ საუკეთესო კანდიდატს წესების და ღვთის მსახურების ასასრულებლად. ხალხი იმ დღესვე ხომ ვერ აირჩევს მღვდელს როცა ადგილი დაიცლება. ხშირად ვერც კი შოულობს ხალხი სამღვდელო კანდიდატს ამ შემთხვევაში ეპარქიის მთავრობა მოვალეა მიუთიოოს კანდიდატზე. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ საეპარქიო მთავრობა მაინცა და მაინც ულირს კაცს გაგზავნის მრევლში დროებით მღვდლად და ეს ულირსი თავისს ულირსებით მოახერხებს ხალხის გადაბირებასაო, ეს აზრი ყოვლად მიუღებელია. ეჭვრობა და მორიგება საკანდიდატო მღვდელსა და მრევლს შორის თუ სწარმოებს, ეს უნდა გამოაშკარავდეს ხოლმე. აი მისი წამალი. ამას გარდა ეპარქიის მთავრობას, თუ ნდობის ღირსია, ზოგიერთ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვევაში კიდეც უნდა მივანდოთ ზოგიერთი საქმეების გადაჭრაც, თუ არა და უნდა გადავაყენოთ და უფრო ღირსეულნი დავაყენოთ. მაგრამ ასე ძალიან, გვგონია, ვერც მესხეთი დასდებს წუნს ურბნისის ეპარქიის მთავრობას.

მისაბამი მაგალითი.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ქართულ სცენის მუშაკმა და მამულიშვილმა იოსებ (სოსო) გიორგის ძე ივანიძემ ამ დღეებში შემდეგი წერილობითი განცხადება გადასცა თბილელ მიტროპოლიტს ლეონიდს:

„ვინაიდან ჩემი ნატვრა იყო, მენახა ჩემი ერი თავისუფალი, ზე აღმდგარი, განახლებული, და ეს ნატვრა ჩვენდა სასახელოდ და საბედნიეროდ უკვე აღსრულდა; ვინაიდან იმ თავიდან შევსტრფოდი მშობელ ეკლესიის მონობიდან განთავისუფლებას, აწ ესეც ვიხილე; ველარ ვფარავ და საჯაროდ ვამბობ, რომ ჩვენს თავისუფლებას დიდი და მრავალი დაბრკოლება ელობება წინ და ამ გვარად ფერხდება ყველა ახლად დაწყებული საქმე. სხვათა შორის უსახსრობის გამო შებორკილია ჩემთვის სათაყვანებელი ქართულ ეკლესიის და მის მგალობელთა გუნდის საქმე.

გალობა,-ეს უდიდესი მადლი, რომელიც მორწმუნე ადამიანს სულსა და გულს უკეთილშობილებს; გალობა ეს საუკეთესო საშუალება, რითაც მიწიერი ზეციერს უახლოვდება; ამ გალობის ასაყვავებლად ჩემის მხრივ ყოველ თვიურად, სანამ ცოცხალი ვარ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს გადავიხადო ასი მანეთი და უკეთეს პირობებში—მეტიც. იოსებ გიორგის-ძე ივანიძე“.

ვისურვებთ, რომ „ჩვენს სოსოს“, როგორც სამართლიანად უწოდებს ქართველი საზოგადოება ბ. ივანიძეს, ბევრი და მისებრ უანგარო მიმბაძველი გამოუჩნდეს ქართველ საზოგადოებაში. მით უფრო ძვირფასია ბ. ივანიძის შემოწირულება, რომ იგი სწორედ ნატეხია მისი ლუკმისა, საგრძნობი ნაწილი მის პირადის შრომის სასყიდლისა და არა ზედმეტი გროში, რომელსაც ზოგიერთი შეძლებული ზეიმით აძლევს სარეკლამო საქმეებში იაფის სახელისათვის.

ი. აგ.

ქრონიკა.

გადამდების სენი. ამას წინედ ქუთაისში მოხდა, როგორც ვწერდით, კრება ტფილელ მიტროპოლიტის გადასაყენებლად. ასეთივე საბუთებით და ლოღიკით აღჭურვილნი პირნი ტფილისშიაც აღმოჩნდენ. 9 ივლისს შეკრებილან მ. ზაქარია ლუკიანოვის (დღეს კი ლუკაშვილის) თაოსნობით დეკანოზები (მგონია ყველა დეკანოზები: იოილ გამრეკელოვი, კობაიძე, ზომახოვი, მათიკოვი და სხვანი და, ანაზდეულად ალტყინებულთ საქართველოს რესპუბლიკისა და საქართველოს ავტოკეფალურ ეკკლესიისადმი გულმხურვალე სიყვარულით მოუთხოვიათ, რომ რადგან იგინი [ორის გარდა] უადგილოდ არიან და ღვაწლიც მიუძღვისთ სამშობლოსა და ეკკლესიის წინაშე, ამისათვის საქართველოს ჯ რში ღღემდის გამწესებული მღვდლები გადაყენებულ იქმნენ და მათი ადგილები ჩამოურიგდეს აღნიშნულ კრების მონაწილეთ, ხოლო კრების ინიციატორთა მიეცეს უპირატესი ადგილები... როგორც დანამდვილებით ვიცით, კრების ზოგ მონაწილეთაგანს თავისს „ღვაწლის“ გამო აკრძალულიც კი ჰქონდათ მღვდელ მოქმედება, ამამდის და მღვდელობიდან მედავითნის ადგილზედაც კი იყვნენ ჩამოყვანილნი..

21—23 ივლისს ურბნელმა ეპისკოპოსმა დაითვალიერა სურამის რაიონის ეკკლესიები და ხწირა იტრიისა და სურამის ეკკლესიებში. ხალხმა გულდასმით მოისმინა წირვა და უფრო კიდევ ქადაგებანი ეპისკოპოსისა.

ამ ბოლო დროს ეპარქიებში სოკოსავით მრავლდება დეკანოზობის, ენქერით და სხვა ნიშნებით დაჯილდოვებულთა რიცხვი. დაჯილდოვებულთა რიცხვის მიხედვით საქართველოს დამოუკიდებელი ეკკლესია ჩქარის ნაბიჯით მიექანება, წეტავი საით?.

გამომცემელი ქ. ტფილისის ამღვდელოება.
„ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული დეკ. ქრ. ციცქიშვილი.

თბილისი, სტამბა „სორაპანი“.